მოსკოვსა და თბილისს შორის: საბჭოთა სასკოლო სისტემის ჩამოყალიბება 1920-იანი წლების საქართველოში

მარიამ დანგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტიმოთი ბლაუველტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო
მატარაძეს ამავე ფაკულტეტის თანამედროვე
საქართველოს ისტორიის მაგისტრანტის
მარიამ დანგაძის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ დანგაძე
2025 წ.

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 2

საკვლევი საკითხი 3

თეორიული ჩარჩო 4

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 6

კვლევის მეთოდოლოგია 10

თავი I: შესავალი 12

- სასკოლო განათლების რეფორმა პირველი რესპუბლიკის პერიოდში 12
- საბჭოთა განათლების სისტემის იდეოლოგიური საფუძვლები 15

თავი II: განათლებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ჩამოყალიბება საბჭოთა საქართველოში 17

თავი III: შრომის სკოლა, როგორც საბჭოთა სასკოლო სისტემის მთავარი ღერძი 23

თავი IV: შრომის სკოლა საქართველოში 29

- სტატისტიკური მონაცემები და მემკვიდრეობა 29
- შრომის სკოლებთან დაკავშირებული გამოწვევები ქართულ რეალობაში 34
- შრომის სკოლები საქართველოში: მიწა და გადასახადი 36
- შრომის სკოლა საქართველოში: კომპლექსური მეთოდი 38
- შრომის სკოლა საქართველოში: კრიტიკა 40

თავი IV: მასწავლებლები საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში 44

თავი V: სკოლების გაეროვნულება 54

თავი VI: დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია 61

აბსტრაქტი

ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის განათლების სისტემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. განათლება არ არის მხოლოდ ცოდნის გადაცემის საშუალება, არამედ იმის განმსაზღვრელი ინსტრუმენტი, თუ როგორი საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს და შესაბამისად, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრება. განათლების სისტემაზე ყოველთვის აისახება ის პოლიტიკური მიზნები და ღირებულებები, რომლებიც სახელმწიფოს იმ კონკრეტულ მომენტში გააჩნია.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საბჭოთა საქართველოში 1921-1927 წლებში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის მშენებლობის თავისებურებები. ნაშრომში აღწერილია ის რეფორმები, რომლებიც საქართველოში უნდა გატარებულიყო, ის გამოწვევები, რომლებიც ამ პროცესში წარმოიქმნა და გაანალიზებულია მათი გავლენა საბოლოო შედეგზე. ნაშრომი იკვლევს შრომის სკოლის, როგორც ამ პერიოდის მთავარი სასკოლო მიდგომის არსს და აანალიზებს მის როლს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გასამყარებლად საჭირო საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში.

ნაშრომში გამოკვლეულია ამ პერიოდის საარქივო და პერიოდული გამოცემების მასალები. მათზე დაყრდნობით შესწავლილია 1920-იანი წლების საქართველოს სასკოლო სისტემის რეალობა და აღნიშნულია, რომ მრავალი მიზეზის გამო ამ პერიოდში გატარებულმა რეფორმებმა მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც მათი ჩანაცვლება გახდა საჭირო.

Abstract

Education is one of the core foundations of state-building in any country. It is not only a means of transmitting knowledge, but also a powerful instrument for shaping the kind of society a state envisions -guiding its political, economic, and cultural development. As such, an education system inevitably reflects the political goals and values of the state at any given moment.

This paper examines the formation of the school education system in Soviet Georgia between 1921 and 1927 - a transitional period marked by the consolidation of Soviet power and the introduction of new ideological and institutional models. It explores the educational reforms implemented during this time, the challenges they faced, and their broader implications. Special attention is given to the concept of the "labor school," the central model of Soviet education in the 1920s, and its role in shaping a new type of citizen aligned with socialist ideals.

Drawing on archival sources and contemporary press materials, the research analyzes how Soviet educational policies were applied in the Georgian context. It argues that, due to a combination of political, social, and infrastructural factors, the reforms of this period often fell short of their intended goals - eventually leading to the need for further revisions and a shift in direction.